

## საბანკო მომსახურების პირობების დანართი N3 - დაგროვების მომსახურება „ყულაბის“ (შემდგომში - დეპოზიტი) სტანდარტული პირობები

1. დეპოზიტზე თანხის დამატება შესაძლებელია შეუზღუდავი მოცულობით და რაოდენობით.
2. დეპოზიტის შემსახველი წიგნაკი გაიცემა მხოლოდ დეპოზიტორის მოთხოვნის შემთხვევაში.
3. დეპოზიტის ძირითადი თანხის გატანა შესაძლებელია დეპოზიტის ვადის გასვლის შემდეგ. ამასთან, დეპოზიტორის მიერ დეპოზიტის ვადაზე ადრე დარღვევის შემთხვევაში, დეპოზიტორი მიიღებს დეპოზიტის ძირითად თანხას და დეპოზიტის ძირითადი თანხის განთავსების დღიდან დარღვევის დღემდე ფაქტობრივად დარიცხული საპროცენტო სარგებლის ნახევარს, ბანკში დადენილი პირობების შესაბამისად.
4. დეპოზიტზე თანხის დამატება და დეპოზიტიდან თანხის (მათ შორის დარიცხული საპროცენტო სარგებლის) გატანა შესაძლებელია მხოლოდ დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშის საშუალებით.
5. დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშში გამოიყენება მხოლოდ დეპოზიტზე თანხის დამატებისა და დეპოზიტიდან თანხის (მათ შორის დარიცხული საპროცენტო სარგებლის) გატანისათვის, როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
6. საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მხოლოდ დეპოზიტის ძირითად თანხას. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება ყოველდღიურ ნაშთზე.
7. დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის კაპიტალიზაცია მოხდება დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე, დეპოზიტის ვადის ბოლოს.
8. კლიენტის მიერ, იმ პლასტიკური ბარათით განხორციელებულ ყოველ სადებეტო ოპერაციაზე, რომელზეც გააქტიურებულია დაგროვების მომსახურება, კლიენტის აღნიშნული საბარათე ანგარიშიდან სადეპოზიტო ანგარიშზე გადაირიცხება 0.5 ლარი. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილია, მიმართოს ბანკს გადასარიცხი თანხის მოცულობის ცვლილების მიზნით.
9. დეპოზიტის ძირითადი თანხის ან/და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის განაღდებას საკომისიო დეპოზიტის ვადის გასვლის შემდეგ შეადგენს 0 (ნული) ლარს, ხოლო ვადაზე ადრე განაღდებას საკომისიოს მოცულობა განისაზღვრება ბანკის მიერ ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე.
10. დეპოზიტის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, დეპოზიტორის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს დეპოზიტის პირობები (მათ შორის საპროცენტო სარგებლის მოცულობა და მისი დარიცხვის წესი). ამასთან, თუ აღნიშნული ცვლილება:
  - 10.1. აუარესებს დეპოზიტორის მდგომარეობას, ბანკი ვალდებულია ასეთი ცვლილების შესახებ აცნობოს დეპოზიტორს არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში, დეპოზიტორი უფლებამოსილია შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით განაცხადოს უარი აღნიშნულ ცვლილებებზე, შესაბამისად, ცვლილება არ შევა ძალაში და ბანკი უფლებამოსილი იქნება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დეპოზიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი ჩარიცხოს დეპოზიტის მომსახურე მიმდინარე ანგარიშზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტას ბანკის მხრიდან. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტორი არ გამოიყენებს ამ პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას, აღნიშნული ცვლილებები შევა ძალაში, ბანკის მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
  - 10.2. არ აუარესებს დეპოზიტორის მდგომარეობას, ბანკი ვალდებულია გაუზიაროს შეტყობინება დეპოზიტორს ასეთი ცვლილების შესახებ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
11. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.